აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველო, 6010,ბათუმი მემედ აბაშიძის, 41
41, Memed Abashidze av. Batumi, 6010, Georgia
Tel : + 995 422 274370/274382
Fax: + 995 422 274384/274371
info@ajaratv.ge
ajaratv.ge

**ბრძანება N02-03/46**

ქ. ბათუმი

24 ნოემბერი 2020 წ

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს თანამშრომლების ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესებში ცვლილების შეტანის თაობაზე**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორის 2020 წლის 08 აპრილის #02-03/10 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს თანამშრომლების ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები (შემდგომში „ქცევის წესები“). აღნიშნული ქცევის წესები თანამშრომელთა მოსაზრებების გათვალისწინებით გადამუშავდა და იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა 2020 წლის 21 ოქტომბერს #02-26/2524 მოხსენებითი ბარათით წარმოადგინა გადამუშავებული ქცევის წესები, რომელიც გადაეგზავნა მაუწყებლის სამსახურების უფროსებს შენიშვნების/მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. მოსაზრებები წარმოადგინეს რადიო მაუწყებლობის სამსახურის უფროსმა (#02-26/2574; 26/10/2020) და ონლაინ მედიის სამსახურის უფროსმა (#02-26/2578; 26/10/2020). ქცევის წესები დაკორექტირდა მითითებული მოსაზრებების გათვალისწინებით. ქცევის წესების განხილვა მოხდა მაუწყებლის მმართველთა საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე, სადაც არსებითი მნიშვნელობის შენიშვნები არ გამოთქმულა, მმართველთა საბჭომ მხარი დაუჭირა არსებული რედაქციით ქცევის წესების დამტკიცებას.

ამდენად, ვიხელმძღვანელე რა “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის $35^{1}$ - ე მუხლის მეორე პუნქტით, $35^{10}$-ე მუხლი მე-7 პუნქტით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შევიდეს ცვლილებები „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს თანამშრომლების ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესებში“ და დამტკიცდეს თანდართული რედაქციით - დანართი #1.

2. იურიდიული მხარდაჭერის საქმისწარმოების განყოფილებამ უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი გასაჩივრება დაინტერესებული პირს შეუძლია კანონით დადგენილი წესითა და ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

**გიორგი კოხრეიძე**

**დირექტორი**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის
2020 წლის 20 ნოემბრის N 02-03/ /ბრძანების
**დანართი N1**

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის
2020 წლის 08 აპრილის N 02-03/10 ბრძანებით

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები

## პრეამბულა

მუხლი 1. სოციალური ქსელები ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ხშირ შემთხვევაში საჯარო პირები თუ ორგანიზაციები პირველად ინფორმაციას სწორედ სოციალური ქსელების მეშვეობით ავრცელებენ. სოციალური მედია უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელებისათვის, ასევე საზოგადოებასთან, აუდიტორიასთან უკუკავშირების დასამყარებლად და სხვა აქტივობებისთვის. „ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში - მაუწყებელი) თანამშრომლების აქტივობა სოციალურ ქსელებში (Facebook, Twitter, YouTube, Instagram, Google+ და სხვ.) გავლენას ახდენს მაუწყებელის რეპუტაციაზე, რადგან ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანები ქმნიან მის საბოლოო პროდუქტს და, როგორც წესი, აუდიტორია მათ ორგანიზაციასთან აიგივებს.

მუხლი 2. სოციალურ ქსელში/ინტერნეტში ქცევის წესები ვრცელდება მაუწყებელის თანამშრომლებზე, მიუხედავად მათი თანამდებობისა და სამუშაო ადგილმდებარეობისა.

მუხლი 3. მაუწყებლის სტრუქტურული მოწყობიდან გამომდინარე, წესი არ ვრცელდება მრჩეველთა საბჭოს წევრებზე. წინამდებარე წესები წარმოადგენენ სოციალურ ქსელში/ინტერნეტში ქცევის ნორმებს, რომელთა შესრულებაც მაუწყებლის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია.

მუხლი 4. წინამდებარე წესები წარმოადგენენ მაუწყებლის შინაგანაწესის და შესაბამისად თითოეული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და, შესაბამისად, მაუწყებლის თანამშრომელთა მხრიდან წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი პირის მიმართ გამოყენებული იქნება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური სანქცია.

## ძირითადი დებულებები

მუხლი 5. მაუწყებელის თანამშრომელს სოციალურ ქსელში/ინტერნეტში აქტივობისას/მასალების გაზიარებისას ეკრძალება არანორმატიული ლექსიკის და სიძულვილის ენის გამოყენება, გამოყენებული ლექსიკა არ უნდა არღვევდეს კანონს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც აქტივობა ხორციელდება სხვა მესამე პირ(ებ)ის მხრიდან

განხორციელებული შეურაცხმყოფელი კომენტარის ან/და არანორმატიული ლექსიკის/სიძულვილის ენის გამოყენების საპასუხოდ.

მუხლი 6. ჟურნალისტებს შეუძლიათ უპასუხონ სოციალური მედიიდან დასმულ კითხვებს მათ მიერ გაშუქებული ამბების შესახებ. ამ პასუხის ფორმები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, ჟურნალისტური ეთიკის აღიარებულ სტანდარტს, მაუწყებელთა ქცევის კოდექსს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნებს. ჟურნალისტი ვალდებულია დაიცვას ეთიკური და პროფესიული სტანდარტები სოციალურ ქსელებში/ინტერნეტში, ისევე, როგორც ეს რეალურ სივრცეში ხდება.

მუხლი 7. მაუწყებლის თანამშრომელი ვალდებულია მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებული შეცდომით დაწერილი ტვიტი ან სხვა სოციალური მედიის პოსტი მაქსიმალურად ოპერატიულად გაასწოროს. ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს განთავსებული ტვიტი ან პოსტი, რომელშიც მითითებული იქნება, რომ დაშვებული იყო ესა თუ ის შეცდომა/უზუსტობა/ხარვეზი.

მუხლი 8. რეკომენდირებულია, რომ მაუწყებლის თანამშრომლები თავის ანგარიშებზე იდენტიფიცირებულები იყვნენ, როგორც მაუწყებლის თანამშრომლები, ოფიციალურად დასაქმების (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების ან/და შესაბამისი აქტის ძალაში შესვლის) მომენტიდან.

თანამშრომლებმა არ უნდა გამოიყენონ სოციალური ქსელების მომხმარებლის სახელში აჭარის ტელევიზია და რადიო ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი. პროფილზე არ უნდა იყოს განთავსებული მაუწყებლის ლოგო.

მუხლი 9. თუკი მაუწყებლის თანამშრომლისთვის ცნობილი ხდება, რომ ორგანიზაცია ინტერნეტში/სოციალურ ქსელში გააკრიტიკეს, მოიხსენიეს შეურაცხმყოფელი, შეუწყნარებელი ან/და უხამსი ტერმინებით, რეკომედირებულია მან ამის შესახებ გონივრულ ვადაში აცნობოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

მუხლი 10. მაუწყებლის თანამშრომლების მიერ მაუწყებლისათვის მოპოვებული ან/და დამზადებული მასალა, კონტენტი, თანამშრომლებმა შეიძლება გამოაქვეყნონ მას შემდეგ, რაც მათ გამოიყენებს მაუწყებელი. მაუწყებლის მიერ მის გამოყენებამდე, გამონაკლისის სახით დასაშვებია მხოლოდ სამაუწყებლო პროგრამის, არხის ან არხის მიერ გაწეული რაიმე კამპანიის პოპულარიზაციისთვის გამიზნული მასალის გამოქვეყნება მაუწყებლის მმართველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში. მასალაზე მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ იგი ეკუთვნის მაუწყებელს.

მუხლი 11. მაუწყებლის თანამშრომლებმა:

თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური პრეფერენციების საჯაროდ გამოხატვისგან, რომელსაც შეუძლია მათი მიუკერძოებლობის და ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენება;

არ უნდა აღნიშნონ პოლიტიკური მიკუთვნებულობა ინტერნეტში/სოციალურ ქსელში, ან პერსონალური ინფორმაციის ველში;

რომლებიც მუშაობენ ტელე-, რადიო-, ასევე ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის შექმნაზე, ასევე, არ უნდა გამოაქვეყნონ არც ერთი უარყოფითი კონტექსტის/სექსისტური მასალა (მათ შორის, ფოტო და ა.შ.) საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების, არასამთავრობო სექტორის ან სხვა ინტერესთა ჯგუფების/ჯგუფის წევრ(ებ)ის მიმართ.

მუხლი 12. სოციალურ ქსელებში აქტივობისას მაუწყებლის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან შემდეგი რეკომენდაციები:

- **<u>გახსოვდეთ</u>**, რომ ის ინფორმაცია, რომელსაც თავდაპირველად შერჩეული აუდიტორიისთვის აქვეყნებთ, შეიძლება სხვებმა გააზიარონ და საჯარო გახადონ ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი/ფართო აუდიტორიისათვის.

- **<u>ყურადღებით იყავით</u>**, როდესაც ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში „გვერდებს", პოსტებს, მოსაზრებებს, ან სხვა ინტერნეტ აქტივობებს იწონებთ, ეს ინფორმაცია საჯაროდ ჩანს. დაფიქრდით, თუ როგორ გამოჩნდება თქვენს მიერ რომელიმე გვერდის მოწონება საზოგადოების თვალში. გვერდების მოწონება, გაზიარება, სხვადასხვა სიმბოლიკის გამოყენებით ასეთი კონტენტის მიმართ აქტივობა აზრის გამოხატვის საშუალებაა.

- **<u>შეამოწმეთ</u>** რა სახის და შინაარსის ინფორმაციას დებთ თქვენს „გვერდზე", ყოველთვის გახსოვდეთ, რომ **თქვენ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომელი ხართ**.

## გადამავალი დებულებები

მუხლი 13. წინამდებარე წესი ვრცელდება მიღების შემდგომ წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი 14. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელში ქცევის წესებს ბრძანებით ამტკიცებს მაუწყებლის დირექტორი.

მუხლი 15. წინამდებარე წესში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა, ასეთი ცვლილების/დამატების განხორციელებამდე წინასწარ უნდა ეცნობოს მაუწყებლის თანამშრომლებს და განხილვის/მოსაზრებების მიღების შედეგად იქნეს დამტკიცებული.

მუხლი 16. წინამდებარე წესებს 2021 წლის 01 მარტამდე აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და დამრღვევის მიმართ არ გამოიყენება მაუწყებლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური სანქცია.